ევთოს რეგიონში პოლიტიკაში ქალთა მიმართ ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლის ინსტრუმენტები

ინსტრუმენტი 3

პოლიტიკურ პარტიებში ქალთა მიმართ ძალადობის წინაალმდეგ ბრძოლა

OSCE ODIHR

ევროს რეგიონში პოლიტიკაში ქალთა მიმართ ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლის ინსტრუმენტები

ინსტრუმენტი 3: პოლიტიკურ პარტიებში ქალთა მიმართ ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლა

Office for Democratic Institutions and Human Rights

OSCE ODIHR

სამადლობელი: ეუთოს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებათა ოფისი (ODIHR) მადლობას უხდის მეგ მანს, ODIHR-ის საერთაშორისო კონსულტანტს და გაერთიანებული სამეფოს ქალთა და თანასწორობის საკითხებში ყოფილ მინისტრს, წინამდებარე ინსტრუმენტის (ინსტრუმენტი 3: პოლიტიკურ პარტიებში ქალთა მიმართ ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლა) მომზადებისთვის და აილა ვან ჰილ მერდანოვიჩს, ODIHR-ის საერთაშორისო კონსულტანტს, რომელმაც ამ ინსტრუმენტისთვის კონკრეტული მაგალითები მოამზადა.

ODIHR მადლობას უხდის ასევე ეუთოსა და სხვა რეგიონებში საგანმანათლებლო სფეროს, საერთაშორისო ორგანიზაციებისა და სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენელ მკვლევრებს, პრაქტიკოსებსა და ექსპერტებს ინსტრუმენტების შემუშავებაში შეტანილი მნიშვნელოვანი წვლილისა და რჩევებისთვის. განსაკუთრებული მადლობა აისკი რიოკასსა და ფინეთის მწვანეთა პარტიას კონკრეტული მაგალითის მოწოდებისთვის და ასევე, ეროვნულ-დემოკრატიული ინსტიტუტის (NDI) წარმომადგენლებს, სანდრა პეპერასა და ბრიჯიტ რიტმან-ტუნს, რომლებმაც ზუსტი ციფრები და მონაცემები მოამზადეს *კონკრეტული კვლევისთვის – პოლიტიკაში ქალთა მიმართ ძალადობის მასშტაბი: ეროვნულ-დემოკრატიული ინსტიტუტის კვლევა პოლიტიკურ პარტიებში ქალთა მიმართ ძალადობის შესახებ.*

ეუთოს რეგიონში პოლიტიკაში ქალთა მიმართ ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლის ინსტრუმენტები
ინსტრუმენტი 3: პოლიტიკურ პარტიებში ქალთა მიმართ ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლა

ვარშავა, 2022 წელი
OSCE/ODIHR

გამოქვეყნებულია ეუთოს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებათა ოფისის (ODIHR) მიერ.

მიოდოვას ქ. 10
00–251 ვარშავა
პოლონეთი
www.osce.org/odihr

© OSCE/ODIHR 2022 ყველა უფლება დაცულია. ამ პუბლიკაციის შინაარსი შეიძლება თავისუფლად იქნას გამოყენებული საგანმანათლებლო და სხვა არაკომერციული მიზნებისთვის, იმ პირობით, რომ ნებისმიერი ამგვარი გამოყენებისას წყაროდ მიეთითება OSCE/ODIHR.

ISBN: 978-92-9271-091-0

დიზაინი: Michael Lusaba
ილუსტრაციები: Aida Herceg

SCAN ME

შინაარსი

შესავალი **01**

პოლიტიკურ პარტიებში ქალთა მიმართ ძალადობის მასშტაბი **03**

პოლიტიკურ პარტიებში ქალთა მიმართ ძალადობასთან ბრძოლაში არსებული გამოწვევები **08**

პოლიტიკური პარტიების გადასადგმელი ნაბიჯები **11**

წესები და პოლიტიკა 11

უსაფრთხო სივრცეები და მოკავშირეები 12

შეტყობინებისა და საჩივრების სისტემა 12

ეფექტური სანქციები და რეპარაციები 17

მონაცემთა შეგროვება 18

ლიდერობა 18

ცნობიერების ამაღლება და რეგულარული ტრენინგები 18

პოლიტიკური პარტიების გენდერული აუდიტი 19

ადვოკატირების კამპანიები 21

პარტიათაშორისი მუშაობა 25

სამოქალაქო ორგანიზაციები 25

საერთაშორისო პოლიტიკური ორგანიზაციები 26

დასკვნა **27**

დანართი 1: პოლიტიკაში ქალთა მიმართ ძალადობის თავიდან ასაცილებლად საჭირო ქმედებათა ჩამონათვალი პოლიტიკური პარტიებისთვის **29**

ევროპის რეგიონში პოლიტიკაში ქალთა მიმართ ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლის ინსტრუმენტები

პოლიტიკაში ქალთა მიმართ ძალადობა არის ადამიანის უფლებათა დარღვევა, ქალების პოლიტიკაში მონაწილეობის ხელშემშლელი გარემოება და სერიოზული გამოწვევა დემოკრატიის, მშვიდობისა და უსაფრთხოებისათვის ევროპის წევრ სახელმწიფოებში. აუცილებელია ძალადობის სხვადასხვა ფორმასთან ბრძოლა და მისი აღმოფხვრა პოლიტიკური ცხოვრების ყველა სფეროდან.

ევროპის მინისტრთა საბჭოს 2018 წლის გადაწყვეტილება ქალთა მიმართ ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლისა და პრევენციის შესახებ აღიარებს, რომ "ქალები, რომლებიც საჯარო პროფესიულ საქმიანობას ეწევიან, ... მათი საქმიანობის გამო შეიძლება დაექვემდებარონ გარკვეული ფორმის ძალადობას ან შეურაცხყოფას, მუქარასა და შევიწროებას". ამავე დროს, აღნიშნული გადაწყვეტილება „მოუწოდებს ყველა შესაბამის აქტორს, მათ შორის, პოლიტიკური პროცესის მონაწილეებს, ხელი შეუწყონ ქალთა მიმართ (იმ ქალთა ჩათვლით, რომელთა პროფესიული საქმიანობა საჯაროა და/ან საზოგადოების ინტერესებს ემსახურება) ძალადობის ყველა ფორმის წინააღმდეგ ბრძოლასა და პრევენციას; ამისათვის საჭიროა მოცემული საკითხის წამოწევა საზოგადოებრივ დისკუსიებში, ცნობიერების ამაღლების ინიციატივების შემუშავება და სხვა შესაბამისი ღონისძიებები, სადაც ასევე გათვალისწინებული იქნება ახალგაზრდა ქალებზე ამგვარი ძალადობის მსუსხავი ეფექტი".

ევროპის რეგიონში ქალთა მიმართ ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლის წინამდებარე ინსტრუმენტები მიზნად ისახავს ევროპის წევრი სახელმწიფოების ცნობიერების ამაღლებასა და ცოდნისა და შესაძლებლობების გაძლიერებას პოლიტიკაში ქალთა მიმართ ძალადობის წინააღმდეგ ეფექტური ღონისძიებების შესამუშავებლად. იგი ხუთ დამოუკიდებელ ინსტრუმენტს მოიცავს:

ODIHR-ის ინსტრუმენტები ევროპის რეგიონში პოლიტიკაში ქალთა მიმართ ძალადობის წინააღმდეგ საბრძოლველად

- **ინსტრუმენტი 1 – შესავალი** განმარტავს პოლიტიკაში ქალთა მიმართ ძალადობას და აღწერს ეფექტური პრევენციის, მსხვერპლთა დაცვის, დამნაშავეთა სამართლებრივი დევნისა და პოლიტიკის კოორდინაციის საკითხებს.

- **ინსტრუმენტი 2 – პარლამენტებისთვის** წარმოადგენს მონაცემებსა და კარგი პრაქტიკების ნიმუშებს პარლამენტებისთვის სახელმძღვანელოდ და პარლამენტში და პარლამენტს მიღმა ქალთა მიმართ ძალადობის წინააღმდეგ ღონისძიებების შესამუშავებლად.

- **ინსტრუმენტი 3 – პოლიტიკური პარტიებისთვის** ეხმარება პოლიტიკურ პარტიებს, გადადგან ნაბიჯები თავიანთ სტრუქტურებში ქალთა მიმართ ძალადობის წინააღმდეგ საბრძოლველად.

- **ინსტრუმენტი 4 – სამოქალაქო საზოგადოებისთვის** მიმოიხილავს სამოქალაქო საზოგადოებისა და ქალთა მოძრაობების როლს პოლიტიკაში ქალთა მიმართ ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლის საქმეში.

- **ინსტრუმენტი 5 – პოლიტიკაში ჩართული ქალებისთვის** წარმოადგენს გზამკვლევს ამ სახის ძალადობის შედეგად პირდაპირ ან არაპირდაპირ დაზარალებული ქალებისთვის, როგორ მიიღონ დახმარება და დაცვის საშუალებები.

შესავალი

პოლიტიკაში ქალთა მიმართ ძალადობას[1] სულ უფრო ხშირად აღიარებენ ქალთა პოლიტიკურ ცხოვრებაში მონაწილეობისთვის ხელშემშლელ ბარიერად. პოლიტიკური ცხოვრების ყველა სფეროში (მათ შორის, პოლიტიკურ პარტიებში) აუცილებელია ამგვარი ძალადობის ნებისმიერ გამოვლინებასთან ბრძოლა. მამაკაცებთან ერთად ქალების მონაწილეობა გადაწყვეტილების მიღების პროცესში მხოლოდ სამართლიანობის საკითხი არ არის, არამედ ქალების უფლებაა – მონაწილეობდნენ თანაბრად. პოლიტიკასა და პოლიტიკურ პარტიებში, ქალთა ჩართულობის გარეშე, ქალების ინტერესები და საჭიროებები სათანადოდ ვერ იქნება გათვალისწინებული და ქალთა შეხედულებები ვერ აისახება იმ კანონებსა და პოლიტიკაში, რომლებიც მათ შეეხებათ.

პოლიტიკური პარტიები პოლიტიკაში მოხვედრის მთავარი გზაა, რადგან ისინი დემოკრატიის ერთგვარ მცველებს წარმოადგენენ. პოლიტიკურ ცხოვრებაში მონაწილეობის თვალსაზრისით, პარტიებს ფუნდამენტური მნიშვნელობა აქვთ, ამიტომ ისინი თანაბარი მონაწილეობის ხელშეწყობასა და ძალადობისგან თავისუფალი პოლიტიკური გარემოს შექმნაში უმნიშვნელოვანეს როლს ასრულებენ. პოლიტიკასა და პოლიტიკურ პარტიებში ქალთა მიმართ ძალადობასთან ბრძოლას არსებითი მნიშვნელობა აქვს პოლიტიკურ ცხოვრებაში გენდერული თანასწორობის მისაღწევად.

ყველა პოლიტიკურ პარტიას უნდა ჰქონდეს შემუშავებული ქალთა მიმართ ძალადობასთან ბრძოლის ზომები, რომლებიც მოიცავს, როგორც პარტიის სტრუქტურებში არსებულ, ისე პარტიის წევრების მიმართ გარე აქტორების მიერ ჩადენილ ძალადობას, მათ შორის, ისეთ შემთხვევებს, როცა, შესაძლოა, ძალადობა ფარული იყოს. ხშირად მომხდარი ძალადობის შესახებ მხოლოდ მსხვერპლმა იცის და ინფორმაციის გახმაურებისთვის სერიოზული ბარიერები არსებობს. თუ ძალადობის შესახებ ინფორმაციის გამჟღავნების, მოძალადეთათვის პასუხისმგებლობის დაკისრებისა და ძალადობის მსხვერპლთა დახმარების კონკრეტული ზომები არ არსებობს, მაშინ ძალადობა ფარული რჩება და გრძელდება.

წინამდებარე ინსტრუმენტი, ძირითადად, პრაქტიკული დოკუმენტია, რომელიც პოლიტიკურ პარტიებს მათ სტრუქტურებში ქალთა მიმართ ძალადობის წინააღმდეგ შიდა ზომების მიღებაში დაეხმარება. დოკუმენტში მოცემულია ინფორმაცია პოლიტიკურ პარტიებში ქალთა მიმართ ძალადობის შესახებ, რა

1 წინამდებარე ინსტრუმენტებში „პოლიტიკაში ჩართულ ქალებში" იგულისხმება ის ქალები, რომლებსაც ოფიციალური პოლიტიკური როლი აქვთ (მაგალითად, კანდიდატები, პოლიტიკური პარტიების წევრები და არჩეული ან დანიშნული თანამდებობის პირები).

ვიცით ამგვარი ძალადობის მასშტაბისა და შედეგების შესახებ და როგორი შეიძლება იყოს პარტიებში ძალადობის შესახებ ინფორმაციის შეტყობინების მექანიზმი. წინამდებარე ინსტრუმენტში ასევე აღწერილია ის ნაბიჯები, რომელთა გადადგმაც შეუძლიათ პოლიტიკურ პარტიებს, როგორც ინდივიდუალურად, ისე ერთობლივად, ქალთა მიმართ ძალადობის წინააღმდეგ საბრძოლველად. დოკუმენტში მრავლადაა წარმოდგენილი კარგი პრაქტიკების ნიმუშები.

პოლიტიკურ პარტიებში ქალთა მიმართ ძალადობის მასშტაბი

ქალთა მიმართ ძალადობის, მისი მიზეზებისა და შედეგების შესახებ გაეროს სპეციალური მომხსენებელი აღნიშნავს, რომ პოლიტიკაში, ყველა დონეზე, ქალთა მიმართ ძალადობის გასაზომად არ არსებობს საკმარისი მონაცემები და ინდიკატორები. პოლიტიკაში ქალთა მიმართ ძალადობის აქტები ხშირად იზოლირებულ ინციდენტებად განიხილება და არა – პოლიტიკურ და საზოგადოებრივ ცხოვრებაში ქალთა მიმართ სტრუქტურული დისკრიმინაციის გამოვლინებად. ამის მიზეზი შეიძლება იყოს თავად ცნების ცხადად განმარტების სირთულე და ინციდენტთა აღრიცხვის მექანიზმების ნაკლებობა.[2]

პოლიტიკური პარტიების წევრ ქალთა მიმართ ძალადობის შემთხვევების შესახებ კონკრეტული მონაცემები იშვიათად მოიპოვება. მიუხედავად იმისა, რომ გარკვეული მონაცემები არსებობს პარლამენტებში ქალთა მიმართ ძალადობის შესახებ, პოლიტიკურ პარტიებში ძალადობის შემთხვევებზე გაცილებით ნაკლებია ცნობილი. არსებობს გარკვეული მტკიცებულება, რომ ქალები პოლიტიკურ პარტიებში განცდილ ძალადობაზე არ საუბრობენ, რადგან დაცული პარტიული სტრუქტურების ფარგლებში ინფორმაციის გამჟღავნება და პარტიის წევრის წინააღმდეგ ჩვენების მიცემა დამატებითი შემაკავებელი ფაქტორებია. მაგალითად, ქალები შიშობენ, რომ მამაკაც თანაპარტიელთან დაპირისპირებამ შესაძლოა საფრთხე შეუქმნას მათ სტატუსს ან პოზიციას.[3]

2018 წელს ეროვნულ-დემოკრატიულმა ინსტიტუტმა (NDI) ჩაატარა პოლიტიკური პარტიების წევრთა პირველი ყოვლისმომცველი გამოკითხვა, რომელიც პარტიულ სტრუქტურებში პარტიის წევრთა მიერ განცდილ ძალადობას ეხებოდა.[4] მართალია, ამ კვლევის ფარგლებში მონაცემები ეუთოს რეგიონის გარეთ (კონკრეტულად, კოტ-დივუარში, ჰონდურასში, ტანზანიასა და ტუნისში) შეგროვდა, მაგრამ NDI-ის კვლევის შედეგები პოლიტიკურ პარტიებში ქალთა მიმართ ძალადობის შესახებ უმნიშვნელოვანეს ინფორმაციას იძლევა:

2 "პოლიტიკაში ქალთა მიმართ ძალადობის შესახებ ანგარიში", ქალთა მიმართ ძალადობის, მისი მიზეზებისა და შედეგების შესახებ გაეროს სპეციალური მომხსენებელი, 6 აგვისტო, 2018, <https://digitallibrary.un.org/record/1640483?ln=en>.

3 "პოლიტიკაში მონაწილეობა და პოლიტიკაში ქალთა მიმართ ძალადობა სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპაში", ეროვნულ-დემოკრატიული ინსტიტუტი, სარაევო, 2021, <https://www.ndi.org/sites/default/files/NDI%20Preliminary%20Report%20-%20Violence%20Against%20Women%20in%20Politics%20in%20Southeastern%20Europe.pdf

4 ეროვნულ-დემოკრატიული ინსტიტუტი (NDI). 2018. "პარტიები ძალადობის გარეშე: პოლიტიკურ პარტიებში ქალთა მიმართ ძალადობის ანალიზი. კოტ-დივუარში, ჰონდურასში, ტანზანიასა და ტუნისში განხორციელებული საპილოტე პროექტების წინასწარი დასკვნები".

კონკრეტული მაგალითი – პოლიტიკაში ქალთა მიმართ ძალადობის მასშტაბი: NDI-ს კვლევა პოლიტიკურ პარტიებში ქალთა მიმართ ძალადობის შესახებ[5]

NDI-ს მიგნებებმა აჩვენა, რომ ქალები საკუთარი პარტიის შიგნით უფრო ხშირად და სხვადასხვა სახის ძალადობის მსხვერპლი ან მომსწრე იყვნენ, ვიდრე მათი მამაკაცი კოლეგები. ძალადობა, ძირითადად, მუნიციპალურ დონეზე ხდებოდა და მას ფსიქოლოგიური თავდასხმებისა და ეკონომიკური ძალადობის ფორმა ჰქონდა. ძალადობის შემთხვევები პარტიების შიგნით ქალთა დაწინაურებასთან ერთად იზრდებოდა. ყველაზე ხშირად ძალადობას მამაკაცი თანაპარტიელები ჩადიოდნენ, შემდეგ – პარტიის ხელმძღვანელი თანამდებობის პირები. მიუხედავად იმისა, რომ პარტიების შიგნით ინფორმაციის შეტყობინების გარკვეული მექანიზმები არსებობდა, ისინი მიუწვდომელი და არაეფექტური იყო, ხოლო ძალადობის ფაქტების უდიდესი ნაწილი გაუმჟღავნებელი რჩებოდა. ქალები, რომლებიც ძალადობის ფაქტებს ახმოვანებდნენ, ამას აკეთებდნენ, ძირითადად, პარტიის სტრუქტურების შიგნით და არა – გარეთ, პოლიციაში, რაც დაცულ პარტიულ კულტურაზე მიუთითებს. კვლევის მიხედვით, საჭირო იყო, რომ პარტიულ ხელმძღვანელობას პასუხისმგებლობა აეღო და მეტი გაეკეთებინა ამგვარი ძალადობის აღსაკვეთად.

2018 წელს NDI-მ[6] უმნიშვნელოვანესი კვლევა გამოაქვეყნა პოლიტიკურ პარტიებში ქალთა მიმართ ძალადობის შესახებ, რომელშიც პოლიტიკურ პარტიებში ამგვარი ძალადობის მასშტაბზე, ტიპებზე, მოძალადეებსა და ძალადობის ფაქტების შეტყობინებაზე იყო საუბარი.

პარტიაში ქალთა მიმართ გენდერული ნიშნით ძალადობა

- პარტიების წევრთა აზრით, პოლიტიკური პარტიების შიგნით ქალები უფრო შეიძლება გახდნენ ძალადობის მსხვერპლი, ვიდრე მამაკაცები (შეჯერებული პასუხი; გამოკითხულ ქალთა 46.9% და გამოკითხულ მამაკაცთა 40.3%).

- პარტიაში მამაკაცებზე ხშირად ქალები შეიძლება გახდნენ სხვათა მიმართ ძალადობის ისეთი ფორმების მომსწრე, როგორიცაა: ფსიქოლოგიური თავდასხმები, მუქარა და იძულება, ასევე, სექსუალური შევიწროება.

5 "პარტიები ძალადობის გარეშე: პოლიტიკურ პარტიებში ქალთა მიმართ ძალადობის ანალიზი, კოტ-დივუარში, ჰონდურასში, ტანზანიასა და ტუნისში განხორციელებული საპილოტე პროექტების წინასწარი დასკვნები", ეროვნულ-დემოკრატიული ინსტიტუტი (NDI), 2018, <https://www.ndi.org/sites/default/files/NDI_No_Party_to_Violence_ReportFinal.pdf>.

6 წინამდებარე დოკუმენტის მიზნებისთვის, NDI-ს წარმომადგენლებმა, სანდრა პეპერამ და ბრიჯიტ რიტმან-ტუნმა ODIHR-ს გაუზიარეს თავიანთი კვლევის შედეგები.

პოლიტიკურ პარტიებში ძალადობის მასშტაბი და ფორმები

- გამოკითხულ ქალთა ნახევარზე მეტს (**54.7%**) საკუთარ პარტიაში განუცდია ამა თუ იმ ფორმის ძალადობა პარტიული სამუშაოს შესრულებისას.

- ქალები აღნიშნავდნენ, რომ პოლიტიკურ პარტიებში ყველაზე ხშირად ადგილი ჰქონდა ფსიქოლოგიურ თავდასხმებს, მათ შორის, მუქარასა და იძულებას (გამოკითხულ ქალთა **48%**) და ეკონომიკურ ძალადობას (**36%**); შემდეგ იყო სექსუალური ძალადობა (**23%**) და ფიზიკური ძალადობა (**20%**).

- ქალები ძალადობას განიცდიდნენ, ძირითადად, მაშინ, როცა პარტიის შიგნით შედარებით მაღალ თანამდებობებს იკავებდნენ, როგორც პარტიის ოფიციალური პირები (**21.9%**) ან პარტიული კანდიდატები (**18.8%**). კანდიდატობის მსურველი ან პარტიული მოხალისე ქალები შედარებით ნაკლებად ხდებოდნენ ძალადობის სამიზნე, რაც იმაზე მიუთითებს, რომ ქალთა პოლიტიკური ძალაუფლების ზრდასთან ერთად იზრდება მათზე თავდასხმებიც.

ძალადობის ადგილი და მოძალადეები

- ქალები ძალადობას, ძირითადად, მუნიციპალურ დონეზე (**66.7%**) და, გაცილებით უფრო ნაკლებად, რეგიონულ (**22.2%**) და ნაციონალურ (**11.1%**) დონეებზე განიცდიდნენ. მოძალადეებიც, ძირითადად, მუნიციპალურ დონეზე მუშაობდნენ (**69.6%**).

- მოძალადეები, უმეტესად, იყვნენ თანაპარტიელი მამაკაცები (**54.3%**) და პარტიის ხელმძღვანელი პირები (**45.7%**).

პოლიტიკურ პარტიებში ქალთა მიმართ ძალადობის ფაქტების შეტყობინება და სანქცირება:

- იმ ქალების თითქმის მესამედს, ვისაც ძალადობა განუცდია პოლიტიკურ პარტიაში (**28.6%**), ინციდენტის შესახებ არავისთვის უცნობებია.

- გამოკითხულმა ქალებმა პარტიების შიგნით ამგვარ ძალადობასთან ბრძოლის სხვადასხვა ხელმისაწვდომი მექანიზმი დაასახელეს: **67.2%**-მა – პარტიის სახელმძღვანელო პრინციპები, ხოლო დაახლოებით ნახევარმა – პარტიის წესები, კანონქვემდებარე აქტები და ქცევის კოდექსები. თუმცა, პარტიებში ინფორმაციის შეტყობინებისა და სანქცირების სისტემების ეფექტურობა საეჭვოა, რადგან გამოკითხულ ქალთა თითქმის ნახევარმა (**48.4%**) აღნიშნა, რომ ამგვარი მექანიზმები მხოლოდ იშვიათად გამოიყენებოდა, ხოლო ქალთა მხოლოდ მესამედმა მიიჩნია, რომ ეს მექანიზმები გარკვეულწილად ხელმისაწვდომი, სასარგებლო და ეფექტური იყო.

- ინციდენტების შესახებ ინფორმაციის შეტყობინების შემთხვევაში, ქალთა უმრავლესობა პარტიის ხელმძღვანელობას (**25.7%**) ან პარტიის ქალთა ფრთას (**20%**) მიმართავდა და მხოლოდ მცირე ნაწილი ატყობინებდა ოჯახის წევრებს (**5.7%**) ან პოლიციას **(8.6%**).

პროცენტული მაჩვენებელი ქალებისა, რომლებმაც პოლიტიკური სამუშაოს შესრულებისას კონკრეტული სახის ძალადობა განიცადეს
წყარო: NDI-ს კვლევა, 2018



მაგალითები დაღმავალი სიხშირის მიხედვით

- სიძულვილის ენა
- ცილისწამება, რეპუტაციის შელახვა ან პიროვნული თავდასხმები
- შეურაცხყოფა, რომლითაც ქალთა პოლიტიკაში მონაწილეობა ამორალობასთან იყო გაიგივებული
- შევიწროება მედიის მხრიდან
- ცრუ ბრალდებები
- გარემოს მცდარი შეფასება (უსაფრთხოების ან საფრთხის არასწორად შეფა ება)
- შევიწროება ან მუქარა ონლაინ სივრცეში ან სოციალურ მედიაში
- მუქარა
- დაშინება ან შანტაჟი
- მუქარა ონლაინ სივრცეში ან სოციალურ მედიაში
- მამაკაცებისთვის ხელმისაწვდომი ფინანსური რესურსების წვდომაზე უარი ან შეფერხება
- ფულის ან სხვა რესურსების გამოყენება პარტიის ქალი წევრების გასაკონტროლებლად
- პირადი ქონების დაზიანება
- არასასურველი სექსუალური კონტაქტი
- სექსუალური შევიწროება
- სექსუალური ექსპლუატაცია
- გაუპატიურება/ არასასურველი სექსი
- ნებისმიერი სახის

პოლიტიკურ პარტიებში ქალთა მიმართ ძალადობასთან ბრძოლაში არსებული გამოწვევები

პოლიტიკური პარტიები პოლიტიკაში მოხვედრის ერთ-ერთი მთავარი გზაა. ისინი დემოკრატიის მცველების ფუნქციას ასრულებენ. საკუთარ სტრუქტურებში გენდერული თანასწორობის ეფექტური ზომების მიღებით, პოლიტიკური პარტიები აფართოებენ მხარდამჭერების ბაზას, ზრდიან ქალთა მონაწილეობას ადგილობრივ ხელისუფლებასა და პარლამენტებში და ხელს უწყობენ ყველასთვის უკეთესი კანონებისა და პოლიტიკის შემუშავებას.[7] რადგან წარმომადგენლობით პოლიტიკაში მონაწილეობის დასაწყისი ხშირად პოლიტიკური პარტიაა, უმნიშვნელოვანესია, რომ პოლიტიკური პარტიების შიგნით ქალთა მიმართ ძალადობა იქნას აღკვეთილი. აუცილებელია ქალთა მიმართ ძალადობის ყველა ფორმასთან ბრძოლა (იხ. „შესავალი ინსტრუმენტი" პოლიტიკაში ქალთა მიმართ ძალადობის ყველა ფორმის შესახებ).

გამჭვირვალობის ნაკლებობა და პარტიის რეპუტაციის დაცვა

მართალია, ზოგიერთი რამ პოლიტიკური ცხოვრების სხვა სფეროებისთვისაც შეიძლება იყოს დამახასიათებელი, მაგრამ პოლიტიკურ პარტიებს აქვთ სპეციფიკური გამოწვევებიც. პოლიტიკური პარტიები კონკურენტულ გარემოში მოქმედებენ. ისინი საარჩევნო უპირატესობის მოპოვებას ცდილობენ და ამიტომ არსებობს ლეგიტიმური მიზეზები, რატომ არ არის გარკვეული სახის შიდა დისკუსიები და პროცესები გამჭვირვალე ან ღია.

პოლიტიკური ცხოვრების ბუნება ართულებს სანდო ინფორმაციის მოპოვებასაც. პოლიტიკური პარტიის წევრების მიერ განცდილი ძალადობის შესახებ ინფორმაციის საჯაროდ გავრცელებამ შეიძლება პარტიის რეპუტაცია და იმიჯი შელახოს. ამგვარი ინფორმაციის გასაჯაროების ძლიერი შემაკავებელი არსებობს, თუკი თან არ ახლავს პრობლემის გადასაჭრელად მიღებული ზომები.

თუმცა, პოლიტიკურ პარტიებს კონკრეტული კანონების შესრულება ევალებათ და მიუხედავად იმისა, მოითხოვს თუ არა ამას კანონი, უნდა ხდებოდეს პოლიტიკური პარტიების წახალისება, რომ მეტი ინფორმაცია გაასაჯაროონ მათი წევრების ქცევის თაობაზე. ქცევის სტანდარტებისა და პარტიის წევრთა მიერ მათი დარღვევების

7 "სახელმძღვანელო პოლიტიკურ პარტიებში ქალთა მონაწილეობის ხელშეწყობის შესახებ", ეუთო/ოდირი, 7 ივლისი, 2014, <https://www.osce.org/odihr/120877>.

შემთხვევაში მიღებული ზომების შესახებ სიცხადე ხელს შეუწყობს არა მხოლოდ ძალადობის ფაქტების მეტად გამჟღავნებას, არამედ პარტიის იმიჯსაც გაუმჯობესებს.

შიში და დაშინება

ზოგი ქალი მიიჩნევს, რომ ეს ძალადობა უბრალოდ „პოლიტიკის კეთების საფასურია", სხვები კი შემდგომი ვიქტიმიზაციის, შურიძიების და ძალადობაში (ან ძალადობის ფაქტის შეტყობინებაში) დადანაშაულების შიშით ჩუმად ყოფნას ამჯობინებენ.[8]

მათი სპეციფიკური ბუნებისა და პარტიული ერთგულების იდეის გამო, პოლიტიკური პარტიები, როგორც წესი, პარტიის შიგნით მომხდარი ძალადობის დამცრობას ცდილობენ და ხელს არ უწყობენ მსხვერპლს, ხმამაღლა ილაპარაკოს, განსაკუთრებით მაშინ, თუ მსხვერპლსა და მოძალადეს შორის ძალაუფლების მხრივ მნიშვნელოვანი განსხვავება არსებობს.

'ოჯახის წევრის' წინააღმდეგ ჩივილი

არსებობს ასევე სპეციფიკური მიზეზები, რის გამოც ქალებისთვის რთულია პოლიტიკური პარტიის შიგნით თანაპარტიელის წინააღმდეგ საჩივრის შეტანა. პოლიტიკური პარტიის ზოგიერთი წევრისთვის პარტიის წევრობა ოჯახის წევრობას წააგავს. ადამიანისთვის, ვინც პარტიის დიდი ხნის წევრია, თანაპარტიელებთან ერთად კამპანიებს ატარებს და მათი თანამოაზრეა, შეიძლება ძალიან რთული იყოს თანაპარტიელის წინააღმდეგ ჩივილი.

ძალიან ცოტა ქალი და მხარდაჭერის ნაკლებობა

პოლიტიკური პარტიების უმრავლესობას უფრო მეტი მამაკაცი წევრი ჰყავს, ვიდრე ქალი, რაც ასევე იწვევს პრობლემებს. პოლონეთის საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტის გენდერული თანასწორობის ობსერვატორია ძალადობის მსხვერპლ ქალთა სიტუაციას მოჯადოებულ წრეს ადარებს. „...რაც უფრო მცირეა ქალთა რიცხვი პოლიტიკურ პარტიებსა და ხელისუფლების ორგანოებში, მით უფრო რთულია ამ საკითხის დებატებში წამოწევა. მეორე მხრივ, პოლიტიკაში ქალთა ნაკლებობა გამოწვეულია (...) ასევე პოლიტიკურად აქტიური ქალების მიმართ ძალადობის შიშით."[9]

8 მონა ლენა კრუკი, *პოლიტიკაში ქალთა მიმართ ძალადობა* (აშშ: Oxford University Press 2020), გვ. 3.

9 მალგოჟატა დრუჩიარეკი, ალექსანდრა ნიჟინსკა, „'ეს იმდენად გავრცელებული რამ არის, რომ მავიწყდება კიდეც', ქალთა მიმართ ძალადობა პოლონეთის პოლიტიკურ სცენაზე", საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტი, 2021, <https://www.isp.org.pl/en/publications/it-has-become-so-pervasive-that-i-keep-forgetting-about-it-violence-against-women-on-the-polish-political-scene>.

ნეგატიური ზეგავლენა პოლიტიკურ კარიერაზე

ისეთ ქვეყნებში, სადაც მხოლოდ რამდენიმე წარმატებული პარტია არსებობს, პარტიის დატოვება ქალისთვის შესაძლოა არარეალისტური ვარიანტი იყოს. შეიძლება ეს იყოს ერთადერთი პარტია, რომელიც მის პოლიტიკურ შეხედულებებს ასახავს და ამ პარტიის დატოვებით გაანადგუროს თავისი პოლიტიკური კარიერა. საჩივრის შეტანის შემთხვევაში, ქალს შეიძლება დაერქვას "სუსტი" ან "პრობლემის შემქმნელი", რამაც ასევე შეიძლება ხელი შეუშალოს მის პოლიტიკურ კარიერას. ცხადია, პოლიტიკური პარტიის ის წევრებიც, რომლებიც პარტიაში ქალთა მიმართ ძალადობასთან ბრძოლაში არიან ჩართული, შეიძლება აღმოჩნდნენ მსგავსი საფრთხის წინაშე და ბრალდებული იქნენ პარტიის რეპუტაციის დაზიანებაში.

პოლიტიკური პარტიების გადასადგმელი ნაბიჯები

წესები და პოლიტიკა

ძალიან მნიშვნელოვნია, პოლიტიკურ პარტიებს ჰქონდეთ შესაბამისი წესები, პროცედურები და სტრუქტურები,[10] რომლებიც მათი წევრების მიმართ ჩადენილი ძალადობის ფაქტებს გამოამჟღავნებენ და რეაგირებას მოახდენენ. ამგვარი ზომები და პოლიტიკა ადეკვატურად უნდა იყოს დაფინანსებული და სათანადოდ შერჩეული პერსონალი ატარებდეს. წინააღმდეგ შემთხვევაში, პოლიტიკური პარტია ვერ შეძლებს იმის მკაფიოდ დემონსტრირებას, რომ ძალადობა მიუღებელია.

იდეალურ შემთხვევაში, პოლიტიკურმა პარტიებმა უნდა აიღონ უფრო ფართო ვალდებულებები გენდერული თანასწორობის უზრუნველსაყოფად და გაატარონ ზომები, რომ პარტიაში ქალებს მიეცეთ თანაბარი უფლებები და შესაძლებლობები და სათანადოდ იყვნენ წარმოდგენილი პარტიის მმართველ ორგანოებში.[11] გენდერული თანასწორობისა და დისკრიმინაციის დაუშვებლობის პრინციპები ადამიანის უფლებების სხვადასხვა საერთაშორისო სტანდარტებშია გათვალისწინებული. მაგალითად, „პეკინის სამოქმედო პლატფორმა“ პოლიტიკურ პარტიებს მოუწოდებს, კონკრეტული ზომები შეიმუშაონ პარტიულ ხელმძღვანელობასა და გადაწყვეტილებების მიღების პროცესში ქალთა თანაბარი და სრული მონაწილეობის უზრუნველსაყოფად; გარდა ამისა, გენდერული თანასწორობის მისაღწევად შეაფასონ პარტიული სტრუქტურები და პოლიტიკა, მათ შორის, კადრების შერჩევის, დანიშვნისა და კარიერული წინსვლის სისტემები. პარტიებმა გენდერული საკითხები თავიანთ პოლიტიკურ დღის წესრიგშიც უნდა შეიტანონ.[12]

ამავე დროს, უნდა არსებობდეს მკაფიო პოლიტიკა, რომ ქალთა მიმართ ძალადობა მიუღებელია. ამის მიღწევა სხვადასხვა გზითაა შესაძლებელი. ეს შეიძლება შეტანილ იქნას ქცევის კოდექსში, რომელიც სხვა საკითხებსაც შეეხება. **ქცევის კოდექსის შემუშავება პარტიის კულტურაზე გავლენის მოხდენის მნიშვნელოვანი გზაა**. ზოგიერთმა პარტიამ შესაძლოა ეს საკითხი დამფუძნებელ დოკუმენტებში ან წესებში შეიტანოს. მნიშვნელოვანია პოლიტიკის

10 იხილეთ, მაგ., ქალთა ინტერამერიკული კომისია. პოლიტიკური პარტიების სანიმუშო პროტოკოლი: პოლიტიკურ ცხოვრებაში ქალთა მიმართ ძალადობის პრევენცია, აღკვეთა, დასჯა და აღმოფხვრა. 2019. ხელმისაწვდომია შემდეგ ბმულზე: http://www.oas.org/en/cim/

11 "სახელმძღვანელო პოლიტიკური პარტიის რეგულაციის შესახებ, მეორე გამოცემა", ეუთო/ოდირი და ვენეციის კომისია, 14 დეკემბერი, 2020, <https://www.venice.coe.int/webforms/documents/default.aspx?pdffile=CDL-AD(2020)032-e>.

12 "პეკინის სამოქმედო პლატფორმა", ქალთა მეოთხე მსოფლიო კონფერენცია, 4-15 სექტემბერი, 1995, მუხლები 191-192, <https://www.un.org/womenwatch/daw/beijing/pdf/BDPfA%20E.pdf>.

რეგულარული გადახედვა და განახლება, რათა იგი ასახავდეს ძალადობრივი ქცევის ახალ ფორმებს. უნდა არსებობდეს პოლიტიკაში ქალთა მიმართ ძალადობის ყოვლისმომცველი განმარტებები და პარტიის შიგნით ძალადობასთან ბრძოლის ეფექტური ზომები. ეს ინფორმაცია პარტიებმა თავიანთ ვებგვერდებზე უნდა გამოაქვეყნონ და გამჭვირვალობასა და ღიაობას შეუწყონ ხელი, რაც სასარგებლო იქნება ასევე ცნობიერების ამაღლებისთვის და სხვა პოლიტიკურ პარტიებსაც დაეხმარება მსგავსი ნაბიჯების გადადგმაში.

უსაფრთხო სივრცეები და მოკავშირეები

პოლიტიკურმა პარტიებმა ქალებისთვის უსაფრთხო სივრცეების შექმნას უნდა შეუწყონ ხელი. ბევრ პოლიტიკურ პარტიაში არსებობს ქალთა ფრთა ან ორგანიზაცია, რომელიც შეიძლება იქცეს უსაფრთხო სივრცედ, სოლიდარობისა და მხარდაჭერის წყაროდ. გარდა ამისა, პარტიის ქალთა ორგანიზაციას შეუძლია უზრუნველყოს, რომ ქალმა წევრებმა კოლექტიურად აიმაღლონ ხმა სხვა ქალი წევრების დასაცავად. მამაკაცებმაც თავისი როლი უნდა ითამაშონ და მოკავშირეებად იქცნენ – შემოიღონ სტრუქტურული ზომები, დაესწრონ და ხელი შეუწყონ ტრენინგებსა და ცნობიერების ასამაღლებელ აქტივობებს.

შეტყობინებისა და საჩივრების სისტემა

პოლიტიკური პარტიის შიგნით ინფორმაციის შეტყობინების კონფიდენციალური სისტემა უნდა არსებობდეს, რომელსაც ნდობა ექნება და ქალები ძალადობრივი ინციდენტების შემთხვევაში მიმართავენ, რადგან ეცოდინებათ, რომ ამ ინფორმაციას სერიოზულად მოეკიდებიან. შეტყობინებებსა და საჩივრებზე რეაგირება დამოუკიდებელ კომისიას ან პარტიის მმართველ ორგანოს შეიძლება დაეკისროს. ეს მექანიზმი პარტიის ქალ წევრებს მეტ გამბედაობას მისცემს, ძალადობის შემთხვევების შესახებ პარტიას შეატყობინონ. მნიშვნელოვანია, რომ პარტიის წევრთა მონაცემთა ბაზები და ინდივიდუალურ საჩივრებთან დაკავშირებული ჩანაწერები იყოს კონფიდენციალური და დაცული.

ძალადობრივი ქცევისთვის პარტიის წევრთა პასუხსაგებად უნდა არსებობდეს სკრუპულოზური პროცედურები, სადაც დაცული იქნება სამართლიანობის პრინციპები და, ამავე დროს, მომჩივანთა უსაფრთხოებაც. უზრუნველყოფილი უნდა იყოს მომჩივანთა და მოწმეთა წინააღმდეგ ანგარიშსწორების დაუშვებლობა. ამ პროცედურებში ასევე გათვალისწინებული უნდა იყოს, რომ კონკრეტული ქცევა ზოგჯერ შესაძლოა სისხლისსამართლებრივ დანაშაულსაც წარმოადგენდეს და აუცილებელი იყოს პოლიციასთან ან სხვა ორგანოებთან დაკავშირება. გამოძიება და საქმის მოსმენა სანდოდ უნდა წარიმართოს, როგორც მომჩივანთათვის, ისე ბრალდებულთათვის. ეს იმას ნიშნავს, რომ პროცედურების განმახორციელებლები პარტიის ხელმძღვანელობის ან პარტიული სტრუქტურების ნებისმიერი პირდაპირი

ან ირიბი მითითებისგან თავისუფალი უნდა იყვნენ. ეს შესაძლოა ნიშნავდეს ასევე ex officio სამართალწარმოებასაც.[13]

მნიშვნელოვანია გამოძიებასა და საქმის მოსმენაში ჩართულ პირთა გენდერული ბალანსის გათვალისწინებაც. კონკრეტული გარემოებებიდან გამომდინარე, სამართლიანი პროცესების უზრუნველსაყოფად შესაძლოა გასათვალისწინებელი იყოს მრავალფეროვნებასთან დაკავშირებული სხვა საკითხები, მაგალითად, ეთნიკურობა და შეზღუდული შესაძლებლობები. გენდერული ძალადობისა და შევიწროების შემთხვევაში, საერთაშორისო სტანდარტებით აკრძალულია დავების გადაწყვეტის სავალდებულო ალტერნატიული პროცესები, მათ შორის, მედიაცია და შერიგება.[14] პროცესი უნდა დასრულდეს კონკრეტული საქმის, მისი განხილვის, დასკვნებისა და შემდგომი ზომების შესახებ დეტალური ანგარიშით (იხილეთ ქვემოთ: „ეფექტური სანქციები და რეპარაციები"). პარტიებმა უნდა უზრუნველყონ შემდგომი ზომების განხორციელება და შესაბამისი ანგარიშგება, ასევე, უნდა დარწმუნდნენ, რომ ძალადობა აღარ გრძელდება. უნდა შეიქმნას გასაჩივრების მექანიზმიც, რომელიც გამოყენებული უნდა იყოს საქმის უარყოფის ან პროცედურული დარღვევების დროს, ასევე, ახალი მტკიცებულებების გამოჩენის, ინტერესთა კონფლიქტის ან მიკერძოების შემთხვევაში.

პარტიებმა უსაფრთხოებისა და დაცვის ზომების შემოღებაზე უნდა იფიქრონ, რათა თავიდან აიცილონ მომჩივანთა მიმართ შემდგომი ძალადობა, მომჩივნები უზრუნველყონ ადვოკატებით და გადაამისამართონ მხარდაჭერის სერვისებზე. თანაპარტიელის მხრიდან ძალადობა დამთრგუნველია და საჩივრის შეტანის პროცედურამ ეს მდგომარეობა შეიძლება კიდევ უფრო დაამძიმოს. უსაფრთხო გარემოს, ადვოკატისა და მხარდაჭერის შეთავაზება და პროცესის შესახებ სათანადო ინფორმაციის მიწოდება დაეხმარება მომჩივანს და ხელს შეუწყობს ყოვლისმომცველი და სამართლიანი პროცესის უზრუნველყოფას.

თუ თანაპარტიელის ან სხვა ბოროტმოქმედის (იქნება ეს სხვა პარტიის, მედიისა თუ საზოგადობის წარმომადგენელი, ან ინტერნეტის მომხმარებელი) მიერ ჩადენილი ძალადობის შესახებ ინფორმაციის შეტყობინების ოფიციალური პარტიული მექანიზმი არ არსებობს, პარტიებს ის მაინც უნდა შეეძლოთ, რომ თავიანთ წევრებს კონფიდენციალურად გაუწიონ მხარდაჭერა, მიაწოდონ ინფორმაცია და რჩევები შეტყობინებისა და დახმარების მიღების შესაძლებლობების შესახებ. ეს შეიძლება მოხდეს, მაგალითად, საინფორმაციო გზამკვლევის მეშვეობით, რომელშიც შესაბამისი პოლიციისა და უსაფრთხოების სერვისების საკონტაქტო ინფორმაცია იქნება შეტანილი, ან შეიძლება პარტიის შიგნით გამოიყოს საკონტაქტო პირი, რომელსაც შესაბამისი ინფორმაციის გაცემა და მხარდაჭერის გაწევა დაევალება.

13 იხილეთ, მაგ., ქალთა ინტერამერიკული კომისია. სანიმუშო პროტოკოლი, *op. cit.*, სქ. 10.

14 იხილეთ, მაგ., ევროპის საბჭოს კონვენცია ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლისა და პრევენციის შესახებ (სტამბულის კონვენცია), ევროპის საბჭო, სტამბული, 11 მაისი, 2011, მუხლი 48, <https://rm.coe.int/168008482e>.

კონკრეტული მაგალითი – ფინეთის მწვანეთა პარტია: პოლიტიკაში ქალთა მიმართ ძალადობის აღკვეთის ზომები და ინსტრუმენტები[15]

ფინეთის მწვანეთა პარტიამ კონკრეტული ზომები და ინსტრუმენტები შეიმუშავა პარტიაში და მის მიღმა ქალთა მიმართ ძალადობის აღსაკვეთად:

პრევენცია

- **კანდიდატთა კონტრაქტი:** არჩევნებში ფინეთის მწვანეთა პარტიის კანდიდატად დასახელებისას, კანდიდატებმა ხელი უნდა მოაწერონ კანდიდატობის კონტრაქტს, რომლის მიხედვითაც, სხვა ვალდებულებებთან ერთად, კამპანიისას კანდიდატებმა არ უნდა გამოიყენონ რაიმე სახის დისკრიმინაციული თემა და ზიანი არ მიაყენონ მწვანეთა პარტიის სხვა კანდიდატებს.

- **ტრენინგი დაცვისა და უსაფრთხოების შესახებ:** ფინეთის მწვანეთა პარტია არჩევნებში მონაწილე კანდიდატებისთვის ატარებს ტრენინგს დაცვისა და უსაფრთხოების თემებზე. აღნიშნული ტრენინგი ყველა პარტიულ კანდიდატს უტარდებდა, მაგრამ რადგან პოლიტიკაში შევიწროება და ძალადობა გენდერული ხასიათისაა, იგი, ძირითადად, ქალი და უმცირესობების წარმომადგენელი კანდიდატებისთვის არის სასარგებლო.

- **ტრენინგი ონლაინ უსაფრთხოების შესახებ:** პარტია ყველა თავის კანდიდატს სთავაზობს ტრენინგს ონლაინ უსაფრთხოების, საუკეთესო პრაქტიკების, ძალადობის პრევენციისა და აღკვეთის შესახებ.

- **უსაფრთხო სივრცეები:** ფინეთის მწვანეთა პარტია თავის ღონისძიებებში ცდილობს ე.წ. უსაფრთხო სივრცის პოლიტიკის გატარებას, რომლის მიზანია, ღონისძიების ან შეხვედრის ყველა მონაწილე იცავდეს უსაფრთხო სივრცის წესებს და ქმნიდეს ატმოსფეროს, სადაც ყველა კარგად გრძნობს თავს და დაცულია დისკრიმინაციისგან. ეს წესები ხშირად ღონისძიების მოსაწვევშია შეტანილი ან ღონისძიების დაწყებისას აცნობენ დამსწრეებს. საბოლოო მიზანია, უსაფრთხოგარემოს შექმნა იმ მონაწილეებისთვის, ვინც ხშირად დისკრიმინაციის მსხვერპლია და ამავე დროს, მათთვის შესაძლებლობის მიცემა, მონაწილეობა მიიღონ დისკუსიებსა და

15 ფინეთის მწვანეთა პარტია. 2022. ინფორმაცია მოგვაწოდა ფინეთის მწვანეთა პარტიის ქალთა ასოციაციის წარმომადგენელმა, აისკი რიოკასმა.

სოციალურ ცვლილებაში. უსაფრთხო სივრცეები, თავისი არსით, ყველა მონაწილისთვის სასარგებლოა. თუმცა, შევიწროების გენდერული ბუნებიდან გამომდინარე, ეს პოლიტიკა, ძირითადად, ქალებისა და უმცირესობების წარმომადგენლებისთვის არის სასარგებლო.

დაცვა

- **ონლაინ მხარდაჭერის სერვისი კანდიდატებისთვის:** ონლაინ ძალადობის მსხვერპლებს პარტია ამ სერვისს ფასდაკლებით აწვდის, ან უფასო გამოწერას სთავაზობს განსაკუთრებული საჭიროების მქონე ადამიანებს, მაგალითად, ახალგაზრდა კანდიდატებს. ონლაინ მხარადჭერის სერვისს ყველა კანდიდატს სთავაზობენ, მაგრამ რადგან პოლიტიკაში ონლაინ ძალადობა გენდერული ხასიათისაა, იგი, მეტწილად, ქალებს, ახალგაზრდებსა და სხვა უმცირესობების წარმომადგენელ კანდიდატებს ეხმარება.

- **„უსაფრთხო: ასოციაცია 'მწვანე ქალების' გზამკვლევი ონლაინ ძალადობის წინააღმდეგ".**[16] ეს გზამკვლევი „მწვანე ქალების" ასოციაციამ მოამზადა ონლაინ ძალადობასთან ბრძოლაში ქალთა დასახმარებლად.

- **უსაფრთხოების ტრენინგი ასოციაცია „მწვანე ქალების" კანდიდატებისთვის:** "მწვანე ქალები" არჩევნებში მონაწილე ქალი კანდიდატებისთვის წინასაარჩევნო კამპანიის პერიოდში ატარებენ სპეციალურად ქალებისთვის მომზადებულ უსაფრთხოების ტრენინგს.

- **გარე მხარდაჭერის სერვისებზე გადამისამართება:** ონლაინ ძალადობის ქალი მსხვერპლებისთვის მხარდაჭერის სერვისების საკონტაქტო ინფორმაცია მოცემულია „მწვანე ქალების" გზამკვლევში („უსაფრთხო: ასოციაცია 'მწვანე ქალების' გზამკვლევი ონლაინ ძალადობის წინააღმდეგ")

ინფორმაციის შეტყობინება

- **საკონტაქტო პირები პარტიაში:** ფინეთის მწვანეთა პარტიამ გამოყო საკონტაქტო პირები, რომლებსაც უნდა ეცნობოთ პარტიულ ღონისძიებებზე მომხდარი შევიწროების ან ძალადობის ნებისმიერი ფაქტის შესახებ. ეს ყველა მონაწილისთვის სასარგებლოა. თუმცა, რადგან შევიწროებას გენდერული ხასიათი აქვს, ეს მექანიზმი, ძირითადად, ქალებსა და უმცირესობების წარმომადგენლებს ეხმარება.

16 ეს გზამკვლევი თავდაპირველად Vihreät Naiset-მა („მწვანე ქალები") ფინური აუდიტორიისთვის გამოსცა. ევროპელი მკითხველისთვის გზამკვლევის ადაპტირებული ვერსია მოამზადეს და თარგმნეს ევროპის მწვანეთა ფონდმა და მისმა პარტნიორებმა.

- **საკონტაქტო პირი პოლიციაში:** ფინეთის მწვანეთა პარტიის ყველა კანდიდატსა და პოლიტიკოსს მიეწოდება ფინეთის უსაფრთხოებისა და დაზვერვის სამსახურის საკონტაქტო პირის პირდაპირი სატელეფონო ნომერი და ელფოსტის მისამართი, რათა, საჭიროების შემთხვევაში, მას შეატყობინოს შევიწროების ან ძალადობის ფაქტის შესახებ. ეს სერვისი სპეციფიკურად ქალებზე ორიენტირებული არ არის, თუმცა მის პერსონალს საკმარისი ცოდნა აქვს ქალთა საკითხებსა და პოლიტიკაში ქალთა მიმართ ძალადობის ფორმებზე.

- **ონლაინ ძალადობის შესახებ ინფორმაციის შეტყობინების ინსტრუქცია:** ინსტრუქცია, როგორ და ვის უნდა დაუკავშირდეს (როგორც პარტიის შიგნით, ისე მის გარეთ) ადამიანი ონლაინ ძალადობის შესატყობინებლად, მოცემულია „მწვანე ქალების" გზამკვლევში („უსაფრთხო: ასოციაცია 'მწვანე ქალების' გზამკვლევი ონლაინ ძალადობის წინააღმდეგ").

- **ინდივიდუალური რეაგირება ძალადობის წინააღმდეგ:** ძალადობის შესახებ შეტყობინებაზე პარტიის რეაქცია ინდივიდუალურად, მსხვერპლთან კონსულტაციით განისაზღვრება. ამაში შეიძლება შედიოდეს შიდა ან გარე საუბრები ან მედიაცია, პოლიციის ან ფინეთის უსაფრთხოებისა და დაზვერვის სამსახურისთვის ინფორმაციის მიწოდებაში დახმარების გაწევა, ან ფსიქოლოგიური დახმარება.

პარტნიორობა

- **პარტიათაშორისი ადვოკატირება პოლიტიკაში ქალთა მიმართ ძალადობის აღსაკვეთად:** ასოციაცია „მწვანე ქალები" პარტიათაშორისი არასამთავრობო ორგანიზაციის, Nytkis-ის წევრია. Nytkis ქალთა უფლებების ადვოკატირებას ეწევა და ფინეთის ყველა საპარლამენტო პარტიის ქალთა ორგანიზაციას აერთიანებს. პოლიტიკაში ქალთა მიმართ ძალადობის აღსაკვეთად, Nytkis-ის ეგიდით და სხვა პარტიების ქალთა ორგანიზაციებთან ერთად, ტარდება ადვოკატირების ერთობლივი კამპანიები, კეთდება ერთობლივი დაპირებები, განცხადებები და მოწოდებები მოქმედებისკენ. წინასაარჩევნო პერიოდებში Nytkis სპეციალურ კამპანიასაც ატარებს პოლიტიკაში ქალთა მიმართ ძალადობის წინააღმდეგ.

ფინეთის მწვანეთა პარტია: ზომები და ინსტრუმენტები პოლიტიკაში ქალთა მიმართ ძალადობის აღსაკვეთად

პრევენცია

- კანდიდატთა კონტრაქტი
- დაცვისა და უსაფრთხოების ტრენინგი
- ონლაინ უსაფრთხოების ტრენინგი
- უსაფრთხო სივრცეები

დაცვა

- ონლაინ მხარდაჭერის სერვისი კანდიდატებისთვის, რომლებიც ონლაინ ძალადობას განიცდიან
- "უსაფრთხო: ასოციაცია 'მწვანე ქალების' გზამკვლევი ონლაინ ძალადობის წინააღმდეგ"
- უსაფრთხოების ტრენინგი ასოციაცია "მწვანე ქალების" კანდიდატებისთვის
- გარე მხარდაჭერის სერვისებზე გადამისამართება

ინფორმაციის შეტყობინება

- საკონტაქტო პირები პარტიაში
- საკონტაქტო პირი პოლიციაში
- ონლაინ ძალადობის შესახებ ინფორმაციის შეტყობინების ინსტრუქცია

პარტნიორობა

- პარტიათაშორისი ადვოკატირება
- საარჩევნო პერიოდებში ჩატარებული კამპანიები
- ერთობლივი დაპირებები, განცხადებები, მოწოდებები მოქმედებისკენ

ეფექტური სანქციები და რეპარაციები

უნდა არსებობდეს ეფექტური სანქციები, რომელთაც საჩივრების განმხილველი დამოუკიდებელი ორგანო დააწესებს. ქვეყნის კანონმდებლობის, პარტიების წესებისა და დანაშაულის ბუნების გათვალისწინებით, ამგვარ სანქციებში შეიძლება შედიოდეს ფინანსური ჯარიმები, პარტიიდან დროებითი ჩამოშორება ან სამუდამო გარიცხვა, პარტიის სახელით მოქმედების ან არჩევით თანამდებობაზე კენჭისყრაში მონაწილეობის აკრძალვა. საჩივრებისა და სანქციების პარტიული მექანიზმი განსხვავდება სამართლებრივი დაცვის იმ საშუალებებისგან, რომლებიც პირს შეუძლია გამოიყენოს ეროვნული კანონმდებლობის ფარგლებში.

ამავე დროს, ძალადობის მსხვერპლ ქალებს დადასტურებული ზიანისა და ძალადობისთვის რეპარაციის მიღების უფლებაც უნდა ჰქონდეთ. ეს შეიძლება მოიცავდეს, მაგალითად, კომპენსაციის გადახდას, ან პოლიტიკური ფუნქციებისა თუ თანამდებობების აღდგენას.

მონაცემთა შეგროვება

პოლიტიკურმა პარტიებმა მათი წევრების მიმართ ძალადობის ფაქტებზე ინფორმაცია უნდა შეაგროვონ. ეს აუცილებელია სიტუაციის გასაგებად და პარტიის ყველა წევრის დასარწმუნებლად, რომ აღნიშნულ საკითხს სერიოზულად ეკიდებიან. მნიშვნელოვანია იმის აღიარება, რომ ძალადობრივი ინციდენტებისგან მიღებული სტრესისა და პოლიტიკურ პარტიებში ამგვარი ინციდენტების შეტყობინების შემაფერხებელი ფაქტორების არსებობის გამო, ქალებისთვის კვლავ რთული იქნება საკუთარ გამოცდილებაზე საუბარი. პრობლემის მასშტაბისა და ბუნების უკეთ გასაგებად, პოლიტიკურმა პარტიებმა რეგულარულად უნდა ატარონ ქალ წევრთა კონფიდენციალური გამოკითხვები.

მკაფიო პასუხისმგებლობა უნდა არსებობდეს ზედამხედველობაზე და მონაცემები რეგულარულად უნდა მიეწოდებოდეს პარტიის მმართველ ორგანოს. პარტიებმა უნდა იფიქრონ წლიური მაჩვენებლებისა და მოქმედი ზომების შესახებ ინფორმაციის გამოქვეყნებაზე. ეს აჩვენებს, რომ პარტია ქალთა მიმართ ძალადობას სერიოზულად აღიქვამს, ასევე, ხელს შეუწყობს ამ პრობლემის შესახებ ცნობიერების ამაღლებას და ცოდნის გაფართოებას. პარტიებმა უნდა იფიქრონ იმაზეც, როგორ გააუმჯობესონ პოლიტიკა და პროცედურები ინციდენტების შესამცირებლად და მსხვერპლთა დასახმარებლად.

ლიდერობა

პოლიტიკურმა პარტიებმა ქალთა მიმართ ძალადობასთან ბრძოლაში ლიდერობა უნდა გამოიჩინონ. ეს ნიშნავს, რომ ლიდერებისთვის ძალადობა ცალსახად მიუღებელია; ისინი უზრუნველყოფენ, რომ პოლიტიკაში ქალთა მიმართ ძალადობასთან საბრძოლველად არსებობდეს წესები და პროცედურები და ამ საკითხების შესახებ ცნობიერების ასამაღლებლად რეგულარული ტრენინგები და აქტივობები ტარდებოდეს. პარტიული ლიდერების დამოკიდებულებას და მათ მიერ გატარებულ ზომებს უდიდესი მნიშვნელობა აქვს პარტიის ქცევისა და ორგანიზაციული კულტურის ცვლილებისთვის. არაერთ პოლიტიკურ პარტიას ხელმძღვანელ პოზიციებზე გენდერული კვოტები აქვს დაწესებული. პარტიაში ხელმძღვანელ თანამდებობებზე თანაბარი წარმომადგენლობის უზრუნველყოფამ შესაძლოა ხელი შეუწყოს მამაკაცებისა და ქალებისთვის ინკლუზიური კულტურის განვითარებას და, ამავე დროს, ქალთა ლიდერობის მნიშვნელობას გაუსვას ხაზი.

ცნობიერების ამაღლება და რეგულარული ტრენინგები

პოლიტიკურმა პარტიებმა უნდა იზრუნონ ქალ წევრთა მიმართ ძალადობის პრობლემის შესახებ ცნობიერების ამაღლებაზე. გათვალისწინებული უნდა იყოს პარტიის ყველა წევრისთვის ტრენინგების ჩატარება. ტრენინგები უნდა მოიცავდეს სტრუქტურულ დისკრიმინაციასა და გენდერულ თანასწორობასთან დაკავშირებულ საკითხებს და განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობდეს

პოლიტიკაში ქალთა მიმართ ძალადობის პრობლემას. პარტიის წევრებს, რომლებიც ქალთა მიმართ ძალადობის ფაქტებს იძიებენ, ან ამგვარი ძალადობის შესახებ საჩივრებს იხილავენ, სპეციალური ტრენინგები უნდა ჩაუტარდეთ, რათა ჰქონდეთ ცოდნა და უნარი, იმოქმედონ დამოუკიდებლად და სისხლისსამართლებრივი დანაშაულის ტოლფასი ძალადობის საქმეები შესაბამის სახელმწიფო ორგანოებს გადაუგზავნონ.

შესაძლებელია, პარტიული თანამდებობების მქონე პირებისა და ადგილობრივ და ნაციონალურ არჩევნებში კანდიდატობის მსურველთათვის სავალდებულო იყოს ტრენინგის გავლა. პარტიებმა ღონისძიებები უნდა ჩაატარონ ცნობიერების ასამაღლებლად და თავიანთი საქმიანობის შესახებ ინფორმაციის ფართოდ გასავრცელებლად. ცნობიერების ამაღლების ხელშესაწყობად შეიძლება ეროვნული და საერთაშორისო მნიშვნელობის თარიღების (მაგალითად, ქალთა საერთაშორისო დღე) გამოყენებაც.

შვედეთში სოციალ-დემოკრატ ქალთა ეროვნულმა ფედერაციამ (S-kvinnor) გამოაქვეყნა „ძალაუფლების სახელმძღვანელო“,[17] რომელშიც საუბარია იმ მეთოდებზე, რომლითაც მამაკაცთა დომინაციის ტექნიკებთან დაპირისპირება შეიძლება. სახელმძღვანელოში მოცემულია გზები, რომელთა მეშვეობითაც ქალებს ძალაუფლების მოპოვება, შენარჩუნება და გამოყენება შეუძლიათ. წიგნში საუბარია ძალაუფლების ხელმისაწვდომობაზე, როგორ შეიძლება ძალაუფლების მოპოვება არა მხოლოდ ინსტიტუციებში, არამედ – ყოველდღიურ და პირად ურთიერთობებშიც. სახელმძღვანელო რვა ენაზეა გამოცემული. ზოგადად, დომინაციის ტექნიკებისა და მათთან ბრძოლის სტრატეგიების შესახებ ინფორმაცია ქვეყნის მასშტაბით ბევრ პოლიტიკურ პარტიასა და ორგანიზაციაში იქნა გავრცელებული.

პოლიტიკური პარტიების გენდერული აუდიტი

პარტიის რეაგირება მის სტრუქტურაში მომხდარ ძალადობაზე ხშირად კარგად ასახავს გამჭვირვალობისა და ინკლუზიურობისადმი პარტიის ზოგად დამოკიდებულებას. პარტიები, რომლებიც დიდ მნიშვნელობას ანიჭებენ შიდაპარტიულ დემოკრატიას, ანგარიშვალდებულებას, გენდერულ თანასწორობას ან დისკრიმინაციის დაუშვებლობას, სავარაუდოდ, ნაკლებად ტოლერანტული იქნებიან მათ რიგებში ან მათი პარტიის წევრების მხრიდან გამოვლენილი

17 ხელმისაწვდომია შემდეგ ბმულზე: <https://s-kvinnor.se/var-politik/political-program/the-power-handbook/>, (ბოლოს ნანახია 2022 წლის 25 მაისს).

ძალადობის ან სექსიზმის მიმართ, რადგან ქალთა მიმართ ძალადობა გენდერული უთანასწორობის მიზეზიც არის და შედეგიც. პოლიტიკურ პარტიებში განცდილი ძალადობა არ არის იზოლირებული მოვლენა, არამედ პარტიის ზოგადი პოლიტიკის, პროცედურებისა და კულტურის პროდუქტია. თავის მხრივ, გენდერულად უფრო მგრძნობიარე პარტიები ძალადობისკენ ნაკლებად მიდრეკილი ხდებიან და მათ რიგებსა თუ პარტიის ფარგლებს გარეთ ქალთა მიმართ ძალადობასთან საბრძოლველად უკეთ მომზადებული არიან.

ODIHR-ის „გენდერული აუდიტის ონლაინ ინსტრუმენტი პოლიტიკური პარტიებისთვის" დაეხმარება პარტიებს, რომლებსაც თავიანთ სტრუქტურებში გენდერული თანასწორობის გაუმჯობესება სურთ და, საბოლოო ჯამში, გააუმჯობესებს მათ პოლიტიკასა და კულტურას პარტიის რიგებში და პარტიის ფარგლებს გარეთ ქალთა მიმართ ძალადობის თავიდან ასაცილებლად თუ აღსაკვეთად.

„გენდერულ აუდიტში" მოცემულია კითხვები, რომელთა მიზანია პოლიტიკური პარტიების სტრუქტურებში, პროცესებში, პროცედურებში და ფორმალურ და არაფორმალურ პრაქტიკაში გენდერული თანასწორობის დონის განსაზღვრა. ამ აუდიტის შედეგები პოლიტიკურ პარტიებს საკუთარი ძლიერი მხარეებისა და განსავითარებელი მიმართულებების იდენტიფიცირებაში დაეხმარება, გარდა ამისა, ამ ინსტრუმენტში კარგი პრაქტიკის მაგალითებიცაა მოცემული. პარტიისთვის მზადდება ინდივიდუალური ციფრული ანგარიში, რომელიც პარტიის შიგნით გენდერული თანასწორობის განვითარების ერთგვარ საგზაო რუკად შეიძლება იქნას გამოყენებული.[18]



18 გენდერული აუდიტის ინსტრუმენტი პოლიტიკური პარტიებისთვის, ეუთო/ოდირი, 2020, <https://genderaudit.osce.org/>.

ადვოკატირების კამპანიები

პარტიულ სტრუქტურებში და, ზოგადად, პოლიტიკაში ქალთა მიმართ ძალადობასთან საბრძოლველად პოლიტიკურ პარტიებს შეუძლიათ ასევე ადვოკატირების კამპანიებში მონაწილეობა და მათი მხარდაჭერა. სოციალური მედია ჰეშთეგების მეშვეობით კონკრეტული გზავნილის გავრცელებისა და კამპანიებში მონაწილეობის მარტივ საშუალებას იძლევა. ქვემოთ მოცემულია პოლიტიკურ პარტიებსა და, ზოგადად, პოლიტიკაში ქალთა მიმართ ძალადობასთან ბრძოლის ადვოკატირების ძველი და მიმდინარე კამპანიების ნიმუშები:

კონკრეტული მაგალითი – #LABOURTOO

2016 წელს, ქალი პარლამენტარის, ჯო კოქსის მკვლელობის შემდეგ, გაერთიანებულ სამეფოში გააქტიურდა საჯარო დებატები პოლიტიკაში ქალთა მიმართ ძალადობის შესახებ და ამგვარ ძალადობასთან ბრძოლა. პოლიციის მიერ შექმნილი „კომუნიკაციისა და გამოძიების საპარლამენტო ჯგუფისა" და საპარლამენტო კანდიდატების შეურაცხყოფისა და დაშინების ფაქტების კვლევის მიზანი იყო პარლამენტებში ამგვარი ძალადობის მასშტაბის შეფასება და პარლამენტართათვის უსაფრთხოების დამატებითი პირობების შექმნა. პარლამენტში ძალადობასთან ბრძოლის პირველმა მცდელობებმა, რასაც #MeToo გლობალურმა მოძრაობამაც შეუწყო ხელი, საბოლოო ჯამში, გაერთიანებულ სამეფოში პოლიტიკურ პარტიებში ძალადობის წინააღმდეგ მიზანმიმართული ბრძოლის სახე მიიღო.

LabourToo მოძრაობა 2017 წლის ბოლოს ლეიბორისტი ქალების ჯგუფმა შექმნა. ეს არის პლატფორმა, სადაც ქალებს ლეიბორისტულ პარტიაში განცდილი სექსუალური შევიწროების, ძალადობისა და დისკრიმინაციის გამოცდილებაზე საუბარი და პარტიის პოლიტიკისა და კულტურული ნორმების ცვლილების ადვოკატირება შეუძლიათ. ეს ძალისხმევა აჩვენებს, რომ ლეიბორისტული პარტიის ქალმა წევრებმა მტკიცედ გადაწყვიტეს პარტიაში ქალთა მიმართ ძალადობასთან ბრძოლა. ისინი ნათელს ჰფენენ თანაპარტიელი ქალების ისტორიებს, აფასებენ პარტიას და მონაცემებს აგროვებენ ძალადობის მასშტაბის შესახებ. გარდა ამისა, ცდილობენ, ერთობლივად მიაღწიონ ცვლილებებს, რათა გაუმჯობესდეს პოლიტიკა, საჩივრების მექანიზმი და მხარდაჭერა მათთვის, ვინც ლეიბორისტულ პარტიაში ძალადობას განიცდის.

About the LabourToo Project

- **რა არის LabourToo?** LabourToo არის პლატფორმა სადაც ლეიბორისტული პარტიის წევრ ქალებს უსაფრთხოდ შეუძლიათ „ლეიბორისტულ პარტიაში მათ მიერ განცდილი სექსუალური შევიწროებისა და ძალადობის შესახებ ამბების ანონიმურად გაზიარება, რათა თავი მოუყარონ ინფორმაციას ძალადობის იმ ფორმების შესახებ, რასაც ქალები განიცდიან და ძალიან ხშირად შეუმჩნეველი რჩება, ან ყურადღება არ ექცევა და მიჩქმალულია."[19]

- **ვინ არის LabourToo?** ეს არის ლეიბორისტული პარტიის ქალ წევრთა არაფორმალური და ანონიმური ჯგუფი და არა – ოფიციალური პარტიული ორგანო. LabourToo-ს ყველა წევრი ლეიბორისტული პარტიის წევრია, ყველა მათგანს წარსულში ეკავა ან ახლა უკავია პარტიაში საპასუხისმგებლო თანამდებობა და პარტიის მიმართ ვალდებულებისა და ერთგულების ძლიერი გრძნობა აქვს.

- **რატომ არის LabourToo ანონიმური?** რადგან რთულია პარტიის შიგნით განცდილ ძალადობაზე ხმამაღლა საუბარი და ის, ვინც ამას აკეთებს, კონფიდენციალობისა და უსაფრთხოების უმაღლესი სტანდარტებით უნდა იყოს დაცული.

- **სად შეიძლება LabourToo-ს პოვნა?** ინტერნეტში, შემდეგ ბმულზე: LabourToo

- **LabourToo მხოლოდ ქალებისთვის არის განკუთვნილი?** მიუხედავად იმისა, რომ ამ პროექტის მიზანს პარტიის შიგნით ქალთა მიმართ ძალადობის შესახებ მონაცემების შეგროვება წარმოადგენდა, პლატფორმაზე მამაკაცებსაც შეუძლიათ თავიანთი ისტორიების გაზიარება.

19 LabourToo პროექტის შესახებ, 2017, <https://labourtoo.org.uk/>.

- **რა არის LabourToo-ს კვლევა და რა აჩვენა მან?** LabourToo-ს ვებგვერდის მეშვეობით ჩატარდა კონფიდენციალური კვლევა, სადაც ქალებს (და მამაკაცებს) შეეძლოთ ანონიმურად გაეზიარებინათ თავიანთი გამოცდილება ლეიბორისტულ პარტიაში სექსუალურ შევიწროებასთან, ძალადობასთან და დისკრიმინაციასთან დაკავშირებით. კვლევის შედეგად ლეიბორისტული პარტიის ქალ თანამშრომელთა, აქტივისტთა, პოლიტიკოსთა და კანდიდატთა 43 ანონიმური ისტორია შეგროვდა ეროვნულ და ადგილობრივ დონეზე და გადაეცა პარტიის ხელმძღვანელობას, რომლისგანაც კონკრეტული ნაბიჯების გადადგმა და საჩივრებზე უფრო ეფექტური რეაგირება მოითხოვეს. კვლევამ გარკვეული საერთო თემები გამოავლინა. კერძოდ, აღნიშნულია, რომ პარტიის შიგნით მოძალადეთა ვინაობა ყველასთვის კარგად ცნობილი იყო, თუმცა საკუთარ ქმედებებზე ისინი პასუხს არ აგებდნენ. აღმოჩნდა, რომ ქალებზე ხშირად ძალადობდნენ პარტიის არჩეული თანამდებობის პირები. პარტიაში გასაჩივრების ან სანქცირების ფორმალური პროცესი არაეფექტიანი იყო და ქალებმა, რომლებიც აპირებდნენ პარტიის შიგნით ძალადობის შესახებ ინფორმაციის გამჟღავნებას, ან გადაიფიქრეს ოფიციალური საჩივრის შეტანა ან არ გრძნობდნენ ადეკვატურ მხარდაჭერას, რომ ეს გაეკეთებინათ. არ არსებობდა ინსტრუქციები და უსაფრთხოების ზომები ძალადობის საფრთხის პრევენციისთვის ან შესამცირებლად. ლეიბორისტული პარტიის მამაკაც წევრებს კარგად არ ესმოდათ, რას ნიშნავს შევიწროება ან ძალადობა.[20]

- **აქვს თუ არა ლეიბორისტულ პარტიას ოფიციალური გასაჩივრების მექანიზმი პარტიის შიგნით ქალთა მიმართ ძალადობასთან დაკავშირებით?** ლეიბორისტულ პარტიას შემუშავებული აქვს სპეციალური პოლიტიკა, რომლის მიზანია, „ადამიანებს შეუქმნას უსაფრთხო სივრცე წინასაარჩევნო კამპანიასა და სხვა პოლიტიკურ აქტივობებში მონაწილეობისთვის. პარტიას ნულოვანი ტოლერანტობის პოლიტიკა აქვს სექსუალური შევიწროების მიმართ და ამ ტიპის ყველა საჩივარს ძალიან სერიოზულად მოეკიდება."[21] ლეიბორისტული პარტიის ვებგვერდზე განთავსებულია სექსუალურ შევიწროებასთან დაკავშირებული ფორმალური პროცედურა, ქცევის კოდექსი სექსუალური შევიწროებისა და გენდერული დისკრიმინაციის

20 "ლეიბორისტულ პარტიაში არსებული სექსუალური შევიწროების, ძალადობისა და დისკრიმინაციის შესახებ ანგარიშის წარდგენის შემდეგ, LabourToo გამოდის მოწოდებით, შეიცვალოს საჩივრების პროცედურა", LabourToo-ს ბლოგი, 28 თებერვალი, 2018, <https://labourtoo.org.uk/blog/>.

21 ლეიბორისტული პარტიის პროცედურა სექსუალურ შევიწროებასთან დაკავშირებით, <https://labour.org.uk/complaints/sexual-harassment/>.

შესახებ და სპეციალური საჩივრის ფორმა, რომლის მეშვეობითაც სექსიზმის, ქალთმოძულეობის ან სექსუალური შევიწროების ფაქტების გასაჩივრებაა შესაძლებელი.

- **რას ნიშნავს LabourToo-ს მოწოდება მოქმედებისკენ?** LabourToo მოუწოდებს პარტიას ძალადობასა და შევიწროებასთან საბრძოლველად სხვადასხვა ზომების გატარებისკენ, მათ შორის იგულისხმება სავალდებულო ტრენინგები და პარტიის პოლიტიკის გაუმჯობესება მსხვერპლთა მხარდასაჭერად და პარტიის კულტურის შესაცვლელად. LabourToo განსაკუთრებით აქტიურ კამპანიას (მათ შორის, ტვიტერზე) ეწევა პარტიის შიგნით სექსუალური შევიწროების ფაქტების გასაჩივრების სრულიად დამოუკიდებელი პროცედურის დასანერგად, რათა უზრუნველყოფილი იყოს ძალადობის შემთხვევების ადეკვატური გამოძიება და დამნაშავეთა დასჯა. .

LabourToo

პარტიათაშორისი მუშაობა

პოლიტიკური პარტიები ძალადობის პრობლემას არა მხოლოდ მათ წიაღში უნდა ებრძოლონ, არამედ უფრო ფართო ჩართულობაზეც უნდა ზრუნავდნენ. სხვა პოლიტიკურ პარტიებთან ერთობლივი მუშაობა სიტუაციის კოლექტიურად გამოსწორების შესაძლებლობას იძლევა. ამგვარ თანამშრომლობას შეიძლება ბიძგი მისცეს ისეთმა მოვლენებმა, როგორიცაა ადგილობრივი და საპარლამენტო წინასაარჩევნო კამპანიები; შესაძლებელია, მაგალითად, პარტიათაშორის ქცევის კოდექსებზე შეთანხმება და მათი ხელმოწერა. პოლიტიკაში ქალთა მიმართ ძალადობასთან დაკავშირებით ეროვნული და საერთაშორისო კამპანიების მხარდაჭერა ამ პრობლემის შესახებ ცნობიერების ამაღლების კიდევ ერთი შესაძლებლობაა; ამ მხრივ მნიშვნელოვანი თარიღები შეიძლება იყოს ქალთა საერთაშორისო დღე (8 მარტი) ან 16 დღიანი კამპანია გენდერული ძალადობის აღმოსაფხვრელად (25 ნოემბერი-10 დეკემბერი). არჩევნების კონტექსტს მიღმა, შესაძლებელია თანამშრომლობა კონკრეტულ დაწესებულებებში (მაგალითად, პარლამენტში ან საკრებულოებში) ქცევის კოდექსების შესამუშავებლად ან ქცევის კონტრაქტების ხელმოსაწერად.

ეს აქტივობები კონკრეტული პოლიტიკური პარტიების გასაშავებლად არ უნდა იქნას გამოყენებული. მაგალითად, ერთმა პოლიტიკურმა პარტიამ შეიძლება მეორე დაადანაშაულოს სიტუაციისადმი არასერიოზულ დამოკიდებულებაში, რადგან მან უარი თქვა, ხელი მოეწერა პარტიათაშორის ქცევის კოდექსზე. ამის შედეგად, ხშირად ქალთა მიმართ ძალადობის საკითხი სხვა პოლიტიკურ ბატალიებში იკარგება, განსაკუთრებით მაშინ, როცა პოლიტიკურ პარტიებს შორის დაძაბულობა არსებობს.

პოლიტიკურმა პარტიებმა, ლიდერებმა და წარმომადგენლობითი ფუნქციის მქონე პირებმა, მაგალითად, პარლამენტის წევრებმა, მერებმა და საკრებულოების წევრებმა, სხვა პარტიებთან ერთად მონაწილეობა უნდა მიიღონ ცნობიერების ამაღლებისა და ცოდნის გაფართოებისკენ მიმართულ აქტივობებში.

სამოქალაქო ორგანიზაციები

პოლიტიკური პარტიები უნდა ეცადონ, ითანამშრომლონ (პოლიტიკაში) ქალთა მიმართ ძალადობის პრევენციაზე მომუშავე სამოქალაქო ორგანიზაციებთან. ეს შეიძლება მოიცავდეს ამ ორგანიზაციების ცოდნისა და გამოცდილების გაზიარებას და ცნობიერების ამაღლებაზე, ტრენინგებსა და ღონისძიებებზე მუშაობას. გარდა ამისა, ქალთა სპეციალიზებული ორგანიზაციები ქალთა მიმართ ძალადობის მსხვერპლებს ხშირად საუკეთესო მხარდამჭერ სერვისებს სთავაზობენ.

საერთაშორისო პოლიტიკური ორგანიზაციები

საერთაშორისო პოლიტიკურ ორგანიზაციებსაც შეუძლიათ თავიანთი როლის შესრულება. ერთი მაგალითია Liberal International, ლიბერალური და პროგრესული დემოკრატიული პოლიტიკური პარტიების მსოფლიო ფედერაცია, რომელიც ცდილობს, ხელი შეუწყოს ქალ წევრთა მიმართ ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლას. ორგანიზაციის სახელმძღვანელოს („Beyond the Numbers: Building Inclusive Political Parties for Success") წინასიტყვაობაში ნათქვამია: „მიუხედავად იმისა, რომ გავლენიან პოლიტიკურ პოზიციებზე ამდენი ქალი აქამდე არასდროს ყოფილა, ვიცით, რომ ქალ პოლიტიკოსებს ყოველდღე ემუქრებიან, დევნიან და აჩუმებენ მხოლოდ იმის გამო, რომ ხმის ამოღება გადაწყვიტეს."[22] წინასიტყვაობაში ასევე ნათქვამია: „ამიტომ მნიშვნელოვანია, რომ პარტიამ ქალებს ძლიერი ინსტიტუციური მხარდაჭერა გაუწიოს, უზრუნველყოს, რომ ქალებმა თავი იგრძნონ უსაფრთხოდ, დაცულად და საკუთარი პოტენციალის სრულად რეალიზება შეძლონ. ამ მიზნით მნიშვნელოვანია ქცევის კოდექსის შემოღება, შევიწროების, მუქარისა და/ან ფიზიკური ძალადობის შემთხვევების შესახებ ანონიმური შეტყობინების მექანიზმის დანერგვა და დამნაშავეების მიმართ მკაფიო სანქციების დაწესება." [23]

22 "Beyond the Numbers: Building Inclusive Political Parties for Success", Liberal International-ის ინლკუზიურობის სახელმძღვანელო, Liberal International et al, 2020, ნანახია 2022 წლის 14 მარტს, <https://liberal-international.org/wp-content/uploads/2020/02/WIPPI-Handbook-2020.pdf>.

23 *Ibid*., გვ. 19.

დასკვნა

პოლიტიკური პარტიები, როგორც „დემოკრატიის მცველები", ვალდებული არიან, უზრუნველყონ, რომ ყველა მოქალაქეს (როგორც ქალებს, ისე მამაკაცებს, მთელი მათი მრავალფეროვნებით) შეეძლოს პარტიულ საქმიანობასა და პოლიტიკაში მონაწილეობა ძალადობის გამოცდილების ან ძალადობის შიშის გარეშე, ხოლო ამგვარი ძალადობის შემთხვევაში, ყველამ მიიღოს სათანადო დაცვა და მხარდაჭერა. მიუხედავად იმისა, რომ პოლიტიკური პარტიები არჩევნებში წარმატების მისაღწევად ერთმანეთს ეჯიბრებიან და, ამდენად, შიდა პროცესებთან დაკავშირებით გარკვეული კონფიდენციალობის შენარჩუნება სჭირდებათ, ლოიალობის ან პარტიის რეპუტაციის გამო პარტიებმა არ უნდა დაუშვან პოლიტიკაში ქალთა მიმართ ძალადობის იგნორირება ან მასთან შეგუება. პარტიები, რომლებსაც ძალადობისგან თავისუფალი გარემოსა და კულტურის შექმნის უნარი აქვთ, ანგარიშვალდებულების დემონსტრირებასა და ნდობის შენებას შეძლებენ და, საბოლოო ჯამში, მეტ ნიჭიერ ადამიანს მიიზიდავენ, მეტ ხმას მიიღებენ.

კვლევები მოწმობს, რომ პოლიტიკურ პარტიებში ძალადობის შემთხვევები ხშირად დამალული რჩება. პარტიების შიგნით ქალები განსხვავებულად განიცდიან ძალადობას, ვიდრე მათი კოლეგა მამაკაცები. მაღალი პარტიული თანამდებობების მქონე ქალები უფრო ხშირად განიცდიან ძალადობას და, მეტწილად, მამაკაცი თანაპარტიელებისგან. პარტიებში მოქმედი შეტყობინების მექანიზმები ხშირად არაეფექტურია და, ამდენად, მსხვერპლები უმეტესად თავს იკავებენ ძალადობის შესახებ ინფორმაციის გამჟღავნებისგან. პარტიულმა ლიდერებმა მეტი პასუხისმგებლობა უნდა აიღონ პოლიტიკურ პარტიებში ქალთა მიმართ ძალადობასთან საბრძოლველად.

იმის მიუხედავად, ითხოვს თუ არა ამას კანონი, პოლიტიკურ პარტიებს უნდა ჰქოდეთ შესაბამისი წესები, პროცედურები და სტრუქტურები, რომ შეძლონ პარტიის წევრთა მიმართ ძალადობის ფაქტების იდენტიფიცირება და მათზე რეაგირებება. წინააღმდეგ შემთხვევაში, პოლიტიკური პარტიები ვერ შეძლებენ იმის მკაფიოდ დემონსტრირებას, რომ ძალადობა მიუღებელია.

იდეალურ შემთხვევაში, პოლიტიკურმა პარტიებმა უნდა აიღონ უფრო ფართო ვალდებულებები გენდერული თანასწორობის უზრუნველსაყოფად და გაატარონ ზომები, რომ პარტიაში ქალებს მიეცეთ თანაბარი უფლებები და შესაძლებლობები და სათანადოდ იყვნენ წარმოდგენილი პარტიის მმართველ ორგანოებში. ინკლუზიური პარტიული გარემო, რომელსაც გამჭვირვალე წესები და პროცედურები აქვს (მაგალითად, ქცევის კოდექსები ან ძალადობის დაუშვებლობის შესახებ

პარტიის წევრთა მიერ აღებული ვალდებულებები), ხელს შეუწყობს ძალადობის თავიდან აცილებას და ძალადობის მსხვერპლთათვის ადეკვატური დაცვის, მხარდაჭერისა და რჩევების მიწოდებას.

პოლიტიკურ პარტიებში უნდა არსებობდეს ინფორმაციის შეტყობინების კონფიდენციალური და ეფექტური სისტემა, რომელიც უზრუნველყოფს, რომ მსხვერპლებმა თამამად განაცხადონ ძალადობის ფაქტების შესახებ და იცოდნენ, რომ ამ ინფორმაციას სერიოზულად მოეკიდებიან. ძალადობრივი ქცევისთვის პარტიის წევრთა პასუხსაგებად უნდა არსებობდეს სკრუპულოზური და დამოუკიდებელი საგამოძიებო პროცესი, სადაც დაცული იქნება სამართლიანობის პრინციპები და, ამავე დროს, მომჩივანთა უსაფრთხოებაც.

უნდა არსებობდეს ეფექტური, პროპორციული და პრევენციული სანქციები. ამ პროცესში ასევე გათვალისწინებული უნდა იყოს, რომ ძალადობრივი ქცევა ზოგჯერ შესაძლოა სისხლისსამართლებრივ დანაშაულსაც წარმოადგენდეს და აუცილებელი იყოს პოლიციასთან ან სხვა ორგანოებთან დაკავშირება.

პოზიტიური და ინკლუზიური პარტიული კულტურა პოლიტიკურ პარტიებში ქალთა მიმართ ძალადობასთან ბრძოლას შეუწყობს ხელს. პარტიულმა ხელმძღვანელებმა ხმამაღლა და მკაფიოდ უნდა ისაუბრონ პარტიის შიგნით ნებისმიერი ფორმის ძალადობის მიმართ ნულოვანი ტოლერანტობის შესახებ, რასაც უნდა მოსდევდეს ცნობიერების ასამაღლებელი ღონისძიებები, ტრენინგები და ადვოკატირების კამპანიები. პარტიის შიგნით ქალების ხმის გასაძლიერებლად და მათი საქმიანობის ხელშესაწყობად ქალ წევრებთან და პარტიის ქალთა ფრთასთან ერთად მუშაობა, ასევე, სამოქალაქო საზოგადოებასთან, მედიასთან და სხვა პარტიებთან თანამშრომლობა მნიშვნელოვანი ელემენტებია პოლიტიკურ პარტიებში ქალთა მიმართ ძალადობის აღმოსაფხვრელად.

დანართი 1: პოლიტიკაში ქალთა მიმართ ძალადობის თავიდან ასაცილებლად საჭირო ქმედებათა ჩამონათვალი პოლიტიკური პარტიებისთვის

პოლიტიკურ პარტიებში ქალთა მიმართ ძალადობასთან ბრძოლა

პოლიტიკური პარტიების მიერ გადასადგმელი ნაბიჯების ჩამონათვალი

პოლიტიკა და პროცედურები	კი /არა	შენიშვნები
პოლიტიკურ პარტიებსა და პოლიტიკაში ქალთა მიმართ ძალადობის ყოვლისმომცველი დეფინიციები		
პარტიის პოლიტიკა (მაგალითად, ქცევის კოდექსი, ძალადობის დაუშვებლობის შესახებ პარტიის წევრთა მიერ აღებული ვალდებულებები ან გასაჩივრების პროცესი) გამოქვეყნებულია ვებგვერდზე		
პოლიტიკა და შესაბამისი ზომები ადეკვატური ადამიანური და ფინანსური რესურსებით არის უზრუნველყოფილი		
საჩივრების პროცედურა ხელმისაწვდომია და ინფორმაციის კონფიდენციალურად შეტყობინებას ითვალისწინებს		
მომჩივნები უზრუნველყოფილი არიან უსაფრთხოების ზომებით, მხარდაჭერით, რჩევებითა და ინფორმაციით		
ინციდენტების დამოუკიდებელი და სკრუპულოზური გამოძიება		
მომჩივნებისა და მოწმეების წინააღმდეგ ანგარიშსწორების აკრძალვა		
საჭიროების შემთხვევაში, საჩივრების პარტიის გარეთ, შესაბამის ორგანოებში გადაგზავნა		

სამართლიანი და ძლიერი დისციპლინური პროცესი, რომელიც დამნაშავეების ეფექტურ სანქცირებას და მომჩივნებისთვის რეპარაციების გადახდას ითვალისწინებს		
სანქციების აღსრულება, რეპარაციების გადახდა და ძალადობის შეჩერება		
პოლიტიკისა და პროცედურების რეგულარული გადახედვა და განახლება ძალადობრივი ქცევის ახალი ფორმების გასათვალისწინებლად		

პოზიტიური კულტურა		
პარტიის ლიდერები მკაფიოდ გამოხატავენ (მაგ., სიტყვით გამოსვლისას, განცხადებებში), რომ ძალადობა დაუშვებელია		
რეგულარული ღონისძიებები ცნობიერების ასამაღლებლად		
პარტიის წევრთა ტრენინგი ძალადობის ამოცნობისა და მასზე რეაგირების შესახებ, ასევე, პარტიულ პროცესებთან დაკავშირებით		
უსაფრთხო სივრცეები ქალებისთვის		
რეგულარული კვლევები პარტიის წევრთა გამოცდილებების აღსანუსხად		
პოლიტიკური პარტიის გენდერული აუდიტი,ზოგადი გენდერული თანასწორობის შეფასება		
ადვოკატირების კამპანიები		
სამოქალაქო ორგანიზაციებთან თანამშრომლობა		

პარტიათაშორისი აქტივობები		
ქცევის კოდექსები		
ერთობლივი პარტიათაშორისი ღონისძიებები		

SCAN ME

Office for Democratic Institutions and Human Rights

OSCE ODIHR